გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2021 წლის 29 იანვარი

ქ. გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის ტერიტორიაზე შპს „ჯორჯიან აუთლეტს ენდ რიზორთს გრუპ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 81.10.39.455) აუთლეტ სოფლის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი” 41-ე და 43-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული - „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მესამე მუხლის მე-6 პუნქტის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების საფუძველზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის ტერიტორიაზე შპს „ჯორჯიან აუთლეტს ენდ რიზორთს გრუპ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 81.10.39.455) აუთლეტ სოფლის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ტარიელ ჯანხოთელი**